



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

**ო კ მ ი N05**

ქ. მარნეული

25.03.2021 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:  
 საკრებულოს წევრები: -

ამირან გიორგაძე, მამუკა ნავერიანი, ნოდარ მთვარელიძე, გივი გიორგაძე, რომან ტაბატაძე, ბესიკ გუჯეჯიანი, ვანო ბურნაძე, ზურაბ ფანგანი, ნადირ გულიევი, ილხამ გასანოვი, დავით ხუციშვილი, ნიკოლოზ მუმლაძე, ლევონ აკოპიანი, ალი მურადოვი, არამ კარაპეტიანი, გეიდარ მუსაევი, აშრაფ ტუკანოვი, არსენ ახვერდიანი, როვშან ისკანდაროვი, აივაზ ისკანდაროვი, ომარ ირიშოვი, ჰუსეინ ჰუსეინოვი, ჯეიხუნ ჩოიდაროვი, მირკაზუმ იაგუბოვი, აზატ კარიმოვი, რაფიკ ჯაფაროვი.

არ ესწრებოდა:

ბესიკ გელენიძე, რიჩარდ გიგანი, ნიკოლოზ გოგოჭური, ზურაბ ჭონიაშვილი, ტარიელ მამედოვი, რამინ ალახვერდიევი, თორნიკე გოგლიძე, აკმამედ იმამკულიევი, ადილ გურბანოვი.

სხდომას ესწრებოდა -

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **ლაშა ლობჯანიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე **ადილ ალიევი**, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მოსაკრებლის განყოფილების სპეციალისტი (ხელშეკრულებით) **ბესო ნიჟარაძე**, ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახურის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი **ელგუჯი კუპატაძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორი **ნატო შავიშვილი**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ნინო ბერიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **რუსუდან გადეღია**, ამავე განყოფილების სპეციალისტები: **ნათია გაფრინდაშვილი**, **ნატო დოკვაძე** და **როენა ახოზაძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების უფროსი **ია ესებუა**, ამავე განყოფილების სპეციალისტები: **თამუნა ჩაჩანიძე**, **მარიამ კაპანაძე** და **ხოშგადამ ნოვრუზალოვა**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი **თემურ შუბითიძე** და თანაშემწეები: **შერმადინ ბოჭოიძე** და **ელსან ჰასანოვი**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მატერიალურ - ტექნიკური და კომპიუტერული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი **კოტე ბოჭოიძე**, ამავე

ასევე ესწრებოდნენ:

განყოფილების სპეციალისტი გელა შუბითიძე, ქეთევან ხვედელიძე და ეთერი ამგროსოვა, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტები ხელშეკრულებით: მარიამ ირიაული, გაბილ ხალილოვი და გიორგი ჩაჩანიძე, მოქალაქეები: გიორგი შუბითიძე, არმაზი მუმლაძე, თეიმურაზ გოგრიჭიანი, მამუკა შუბითიძე, ლუკა ცარციძე. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სტაჟიორები: მედეა გიორგაძე და მარიამ გოგრიჭიანი. მარნეული TV-სა და რადიო მარნეულის წარმომადგენლები.

### განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და მერიის პროფესიული საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 09 თებერვლის N08 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის შეთანხმების თაობაზე“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის N12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 24 მარტის N32-3221083190 წერილის განხილვის შესახებ.
4. „მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების და სათამაშო ბიზნესის ადგილობრივი მოსაკრებლების განაკვეთების განსაზღვრისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 7 აგვისტოს N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
5. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების მართვისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 24 მარტის N073221083320 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
6. „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

### განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 24 მარტის N32-3221083106 წერილით შემოსული „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და მერიის პროფესიული საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 09 თებერვლის N08 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N19. 25.03.2021 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს შესათანხმებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 22 მარტის N32-3221081272 წერილით შემოსული „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის შეთანხმების თაობაზე“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის N12 განკარგულებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N19. 25.03.2021 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ და ა.ა.ი.პ. „მარნეულის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს დირექტორმა ნატო შავიშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 24 მარტის N32-3221083190 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის კეთილდღეობის დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელის 2021 წლის 24 მარტის N02/3221083115 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია კულტურის ცენტრის სახელოვნებო წრეების ნაწილის სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N21. 25.03.2021 წ).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ ნოდარ მთვარელიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 24 მარტის N32-3221083106 წერილით შემოსული „მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების და სათამაშო ბიზნესის ადგილობრივი მოსაკრებლების განაკვეთების განსაზღვრისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 7 აგვისტოს №19 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N20. 25.03.2021 წ).

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ ნოდარ მთვარელიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 25 მარტის N32-322108434 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების მართვისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 24 მარტის N073221083320 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მულის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე ითხოვა თანხმობა, რათა შევიდეს ცვლილება „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და გეგმის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N56 განკარგულების დანართი N2-ში და დამტკიცდეს წარმოდგენილი დანართის შესაბამისად.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N20. 25.03.2021 წ).

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა განკარგულების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N22. 25.03.2021 წ).

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მეხუთე რიგგარეშე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:  
ამირან გიორგაძე